



იმისთანა წმინდა საქმეში, ბატონო ბეჯე-
უძი სიფცყაა, ფეხლებით და ჭბრებით ბრ-
თის გაფანა ყელა უკადბისბაგ უსამაგულსია.

ოცნებას ფასი მხოლოდ ახდენილსა აქვს!

„ქართულმა ოცნებამ“ დეკუბატობის 15 ახალი კანდიდატი წარადგინა

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარემ გიორგი კვირიკაშვილმა საზოგადოებას მომავალი საპარლამენტო გუნდის ახალი შემადგენლობა წარუდგინა.

ლონისძიებს, რომელიც საგურამოში, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში გაიმართა, მთავრობის წევრები, დეპუტატები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები დაესწრნენ.

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ განახლებული გუნდის შემადგენლობაში **თამარ ჩუგოშვილი**, **გიორგი ბახარია**, **ირაკლი კობახიძე**, **აპაკი ზომიძე**, **არჩილ თალაკვაძე**, **თამარ ხულოდავა**, **ირინა ფრუჩიკა**, **კახა კუჭავა**, **მამუკა მდინარაძე**, **მარიამ ჯაფარიძე**, **ნინო გომოგორაძე**, **რომან კაპულია**, **სოფო კილაძე**, **სოფო ძაძარაძე** და **სოფო ჯაფარიძე** ანიან.

თამარ ჩუგოშვილი – მას იცნობს ჩვენი საზოგადოება როგორც გამოცდილ იურისტსა და შუამდგომარეობის უფლებადამცველს. თამარი გახლავთ ჰარვარდის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, კენედის სახელობის სახელმწიფო მართვის სკოლის მაგისტრის ხარისხის მფლობელი, არის მრავალი წარმომადგენელი ავტორი. 2013-14 წლებში იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანაშემწე ადამიანის უფლებების დაცვისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში. ამჟამად პერიოდში იყო მთავრობის ადამიანის უფლებების დაცვის სამდიონოს ხელმძღვანელი. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო მისი დამსახურება და თავდაუზოგავი შრომა, რომელიც მან გასწავლა თომას შამერბერგთან ერთად, და დღეს მისი წყალობით ჩვენ გვაქვს ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპის მონივრულ ქვეყნებს შორისაც კი.

გიორგი ბახარია – ის არის ლომონოსოვის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, აქვს ბიზნესის მართვის მაგისტრისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხი. გიორგი არის ფართო განათლების ადამიანი, გამოირჩევა პრინციპულობით, ლიდერის თვისებებით. გიორგი გახლავთ ბიზნესობიანი და ის, რომ მან ბიზნესის წამომადგენლებთან მოახერხა სრულიად განსხვავებული, თანამშრომლობაზე ორიენტირებული ურთიერთობების ჩამოყალიბება, ძალიან მნიშვნელოვანია. მიმაჩნია, რომ მისი შემოსვლა ჩვენს რიგებში დიდი შენაძენია არა მარტო „ქართული ოცნებისთვის“, არამედ მთლიანად ქართული პოლიტიკისთვისაც.

ირაკლი კობახიძე – ირაკლის უკვე ყველა კარგად იცნობს. ის ჩვენი პარტიის აღმასრულებელი მდივანია. ირაკლის იურიდიული განათლება მიღებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და გერმანიაში. 2006 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია დიუსელდორფის უნივერსიტეტში. წლების განმავლობაში მუშაობდა საერთაშორისო ორგანიზაციებში უქსპერტად და პროექტების მენეჯერად, ასევე ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას სხვადასხვა უნივერსიტეტში. ირაკლი არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

აპაკი ზომიძე – გახლავთ კოლუმბიის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული საერთაშორისო და სახელმწიფო მართვის მიმართულებით. აქვს საჯარო სამსახურის 7-წლიანი გამოცდილება. მას მონაწილეობა აქვს მიღებული ევროპის და აზიის 15 ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის რეფორმირების პროცესში როგორც მსოფლიო ბანკის, გაეროს, ევროგაერთიანების და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების ექსპერტი. ბატონი აპაკი წარმატებულია თავის საქმეში და, დარწმუნებული ვარ, ასეთივე წარმატებული იქნება პოლიტიკაშიც.

არჩილ თალაკვაძე – არჩილსაც, ვფიქრობ, არ სჭირდება განსაკუთრებული წარდგენა. არჩილი არის მენეჯმენტის სპეციალისტი, სწავლობდა თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტში და GIPA-ში. მუშაობდა USAID-ის დემოკრატიული მმართველობის პროგრამაში, შემდგომ, 2 წლის განმავლობაში სასჯელაღსრულების სამინისტროში, სადაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რეფორმებში. ამჟამად გახლავთ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, რასაც წარმატებით ართმევს თავს. არჩილმა გადამწყვიტა, რომ შემოუერთდეს ჩვენს საპარლამენტო გუნდს და უფრო აქტიურად ჩაერთოს პოლიტიკაში.

თამარ ხულოდავა – გახლავთ სამართალმცოდნე, ამჟამად არის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის პირველი მოადგილე. თამარი წლების განმავლობაში მუშაობდა ევროკავშირის წარმომადგენლობაში კანონის უზენაესობის პროგრამების მენეჯერად. ის იყო ამერიკის იურისტთა ასოციაციის იურისტი. მისი, როგორც იურისტი და მენეჯერის, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციებში საქმიანობის გამოცდილება ნამდვილად წაადგება ჩვენს გუნდს.

ირინა ფრუჩიკა – იგი პროფესიით ფსიქოლოგი და ექიმაა. მას ყველა იცნობს როგორც „რა, სად, როდის“ ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ კაპიტანს. და, დარწმუნებული ვარ, მისი ინტელექტი და პროფესია ერთნაირად გამოგვაადგება. იგი გახდა მეორე შვილის დედა და მინდა, ყველაფერი ერთად მივულოცო მას.

კახა კუჭავა – სამართალმცოდნეა, გახლავთ ნოტინგემის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, კორპორაციული სამართლის მაგისტრი, ბოლო 5 წელი მოღვაწეობს კერძო სექტორში სამთომომპოვებითი მიმართულებით, მისი ხელმძღვანელობით ხორციელდება 2 მნიშვნელოვანი პროექტი ამ მიმართულებით. ის ბიზნესიდან შემოდის პოლიტიკაში და მინდა, წარმატებები ვუსურვო მას ამ ახალ ამბულაში.

მამუკა მდინარაძე – მამუკა გახლავთ სამართლის დოქტორი. მას იცნობენ როგორც წარმატებულ ადვოკატს, იგი დღემდე არის ადვოკატთა ალიანსის თავმჯდომარე და საქართველოს პარალიმპიური ფონდის ხელმძღვანელი. მამუკა არის სამართლის ისტორიაში უპრეცედენტო პროექტის „საადვოკატო გამოძიების სამსახური“ ავტორი.

მარიამ ჯაფარიძე – არ იმყოფება ჩვენთან ერთად. იგი გახლავთ მნიშვნელოვან მივილინებაში. გახლავთ ჰარვარდის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, კენედის სახელობის სახელმწიფო მართვის მაგისტრი სახელმწიფო ადმინისტრაციის საკითხებში, აგრეთვე მინიჭებული აქვს საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრის ხარისხი.



ტრის ხარისხი. მარიამი იყო ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე, დაარსების დღიდან წარმატებით ხელმძღვანელობს სოლიდარობის ფონდს, რომელსაც უკვე ბევრი ბავშვის სიცოცხლე აქვს გადაარჩენილი.

ნინო გომოგორაძე – გახლავთ საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი. ახალგაზრდობის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ ნინო უკვე გამოცდილი პოლიტიკოსია. 6 წლის განმავლობაში იყო ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი, ამჟამად გახლავთ თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე.

რომან კაპულია – მას აქვს დიდი გამოცდილება ევროპულ სტრუქტურებთან ურთიერთობის კუთხით, ამჟამად გახლავთ ევროკავშირის პროგრამების კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსი ევროპულ და იმპლემენტაციულ სტრუქტურებში ინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრის აპარატში. ამ დეპარტამენტის კოორდინაციით თითქმის ყველა სამინისტროში დღესათვის მიმდინარეობს ევროკავშირის ინსტიტუციონალური განვითარების პროექტები, რომლებიც ამოქმედდება და მხარს უჭერენ ჩვენს სახელმწიფო უწყებებს ევროკავშირთან დახლოებისათვის და ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

სოფო კილაძე – სოფო გახლავთ თავისი საქმის პროფესიონალი, იურისტი. არის პაიდელბერგის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული. მუშაობდა მაქს-პლანკის ინსტიტუტში გერმანიაში და იყო შსს აკადემიის პროექტორი. სოფო წარმატებული ადამიანია, და ვფიქრობ, რომ პოლიტიკაშიც იტყვის თავის სიტყვას.

სოფო ძაძარაძე – უცხო ენების სპეციალისტია, იყო ბრიტანეთის საელჩოს პოლიტიკური მდივანი. იყო ამჟამად საელჩოს პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი და პროექტების კოორდინატორი. ასევე საელჩოში სასტიპენდიო/საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი. მამამდე მუშაობდა ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდში.

სოფო ჯაფარიძე – მაგისტრი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში, ესეცის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, პრემიერ-მინისტრის თანაშემწე ადამიანის უფლებათა და გენდერული თანასწორობის საკითხებში, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტების სამართლებრივი ექსპერტი, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ყოფილი მოადგილე, არასამთავრობო სექტორში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილებით – ასე წარმოადგინა „ოცნების“ ახალი შემადგენლობა გიორგი კვირიკაშვილმა.

„ქართული ოცნება“ ხალხს ხსოვრების მსხმობიარე ხელ წარმოუდგენია!




როცა კრიმინალური კანონები ოფიციალურზე მაღლა დგას...

როგორ სწორდება საქართველო, სომხეთსა და აზერბაიჯანში?

სახალხო დამცველი, რომელიც ხელისუფლების „ოპოზიციას“ აღიარებს, რომ ადამიანის უფლებების მხრივ მთელი რიგი პოზიტიური ცვლილებები გაუმჯობესდა ვითარება პენიტენციურ სისტემაში, მოხდა სისხლის სამართლის ლიბერალიზაცია, აზრის გამოხატვის კუთხით მეტი თავისუფლება, პლურალისტურია მედიაგარემო და სხვა. უჩანა უწყვეტი ერთ-ერთ ძირითად გამოწვევად მიიჩნევა დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს შექმნა. პრობლემათა ნუსხაში მოხვდა: გენდერული უთანასწორობა, უმცირესობათა უფლებები, სოციალური პრობლემები და ა. შ.

საინტერესოა, რომ ორი წლის წინათ საქართველოში შეიქმნა თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი, რომელმაც 6 არასამთავრობო ორგანიზაცია გააერთიანა. მაგრამ მალევე ქსელი გაფართოვდა და ადამიანის უფლებათა სახლები შეიქმნა სომხეთსა და აზერბაიჯანშიც და სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანა მოიცვა.

ორწლიანი მონიტორინგის ანგარიშის პრეზენტაცია თბილისში გაიმართა, რომელმაც კარგად გამოკვეთა, რამდენი საერთო და, ამჟამად დროს, კარდინალურად განსხვავებული პრობლემები აქვთ მეზობელ ქვეყნებს.



თუ საქართველოში დემოკრატიის ხარისხს აფასებენ და არაფერს ეპარება ეჭვი, რომ ქვეყანა „ხალხის მმართველობის“ ჩარჩოებში მეტწილად ვითარდება, აზერბაიჯანში დემოკრატიაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ეს არის სახელმწიფო, სადაც დღეს უფლებადამცველებს სამართლებრივად, კანონიერად ეკრძალებათ მუშაობა. რაც შეეხება სომხეთს, ის ძალიან ნააგავს „შეგარდნადის მმართველობის“ პერიოდს, როცა თითქოს არაფერი იკრძალებოდა, მაგრამ რეალურად არც არაფერი კეთდებოდა.

ლაირი ჩაურიცხა. ეს თანხა „ალმოაჩინა“ კომპიუტერმა და სტატუსიც შეუჩერა. მონიტორინგის შედეგებში აისახა ბოშათა თემის პრობლემები; ის, რომ საპენსიო ასაკს მიტანებულესაც კი არ გააჩნიათ დაბადების მოწმობა, პასპორტი. ადამიანის უფლებათა სახლმა უამრავ მათგანს აღმოუჩინა დახმარება სრულიად უსასყიდლოდ და ეს პროცესი კვლავაც გრძელდება...

რა ხდება აზერბაიჯანში ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით? „უმანრადი ვოთჩის“ დირექტორი სამხრეთ კავკასიაში გიორგი გოგია იქ შექმნილ ვითარებას დრამატულად აფასებს. „აზერბაიჯანში ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არასოდეს გამოიჩნეოდა, მაგრამ ბოლო 2-3 წლის განმავლობაში მდგომარეობა განსაკუთრებულად შეიცვალა უარესობისკენ. თითქმის ყველა უფლებადამცველი დააპატიმრეს. ბრალდებებს არაფერი აქვთ საერთო დანაშაულებთან და ცხადია, რომ ეს არის პოლიტიკურად მოტივირებული საქმე. დღეს ისინი თავისუფლები არიან, მაგრამ საქმიანობის გაგრძელების უფლება არა აქვთ. ისეთი საკანონმდებლო რეგულაციები შემოიღეს, რომ დონორის მოძიების ან გრანტის მოპოვების შესაძლებლობა შეუზღუდეს, ანუ ხელისუფლებამ ადამიანის უფლებათა დაცვის სფერო „მოასუფთავა“, - აღნიშნა მან.

იურისტი ელენე ფილევა უფრო დეტალურად ჰყვება აზერბაიჯანში არსებულ მდგომარეობას: „თითქმის ერთდროულად დაიჭირეს უფლებადამცველები მთელი პლენად: ინტიგამ ალიევი, რასულ ჯაფაროვი, რასმუდ ჯახოვი, ლეილა და არიბ იუნუსები, ჰადიჯა ისმაილოვი... თითქმის ყველა ერთი და იმავე მუხლებით წაუყენეს ბრალდებები: უკანონო კომერციული საქმიანობა, გადასახადების დამალვა, საბუთების გაყალბება, თაღლითობა... გმირობა იყო მათ სასამართლო პროცესებზე დასწრებაც კი. სასამართლო პროცესებზე რკინის გისოსებში ისხდნენ, გალიაში, რომელიც საშინლად გამოიყურებოდა.“

შეიქმნა უფლებების მხრიდან, დადებითად უპასუხა რესპონდენტების 69 პროცენტმა - და ეს არის ყველაზე დაბალი დონე უკანასკნელი წლების დაკვირვებების შედეგად. შარშან თებერვალში ეს მაჩვენებელი 77 პროცენტს შეადგენდა. როგორ უყურებენ ამერიკას სხვა ქვეყნების მოქალაქეები? რესპონდენტებს საზღვარგარეთ, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ ამერიკული ცენტრის სოციოლოგიურ გამოკითხვაში, მიეცათ შეკითხვა: „მიგაჩნიათ, რომ შეერთებული შტატები ამჟამად ასრულებენ უფრო მნიშვნელოვან და წინადა როლს მსოფლიოში, ვიდრე ათი წლის წინათ?“



ამერიკის შეერთებული შტატების როლი მსოფლიოში

როგორ უყურებენ ამერიკას სხვა ქვეყნების მოქალაქეები

შეიქმნა უფლებების მხრიდან, დადებითად უპასუხა რესპონდენტების 69 პროცენტმა - და ეს არის ყველაზე დაბალი დონე უკანასკნელი წლების დაკვირვებების შედეგად. შარშან თებერვალში ეს მაჩვენებელი 77 პროცენტს შეადგენდა. როგორ უყურებენ ამერიკას სხვა ქვეყნების მოქალაქეები? რესპონდენტებს საზღვარგარეთ, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ ამერიკული ცენტრის სოციოლოგიურ გამოკითხვაში, მიეცათ შეკითხვა: „მიგაჩნიათ, რომ შეერთებული შტატები ამჟამად ასრულებენ უფრო მნიშვნელოვან და წინადა როლს მსოფლიოში, ვიდრე ათი წლის წინათ?“

მსოფლიო 15 პროცენტმა მისცა დადებითი პასუხი, 38 პროცენტს მიაჩნია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების როლი მსოფლიოში ისეთივეა, როგორც ათი წლის წინათ იყო, და თითქმის ნახევარს - 46 პროცენტს - მიაჩნია, რომ იგი გახდა უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანი. როდესაც უპასუხებდა შეკითხვას: როგორი უნდა იყოს ამერიკის შეერთებული შტატების როლი? - რესპონდენტები ორჯერ იმდენად დაიხრეს - თითოეულში 41 პროცენტი. ერთის წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ ამერიკამ თავიდან უნდა აიშოროს კრიზისები, სხვებმა - დაიცავს წესრიგი.

როგორც ამ პასუხებიდან ჩანს, მიუხედავად ზოგიერთი სხვაობისა, ყველა მათგანი გულსხმობს ამერიკის შეერთებული შტატების ლიდერის როლს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბევრი ქვეყნის მცხოვრებლები კვლავ განიხილავენ ამერიკას როგორც უპირობო ლიდერს მსოფლიო პრობლემების გადაწყვეტაში.

და აქ საქმე არა მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო და საზღვარგარეთის დახმარებაშია, ამბობენ ანალიტიკოსები. არ უნდა დავივიწყოთ ეგრეთ წოდებული „მსუბუქი ძალაც“. მაგალითად, ლიდერობა მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში - ეს არის ერთ-ერთი ყველაზე პოზიტიური იმიჯი ამერიკისა, რაც მსოფლიოში არსებობს. თუმცა, რასაკვირველია, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს პოპ-კულტურაც.

კვლევითი ცენტრ ზუტ პუბლიკაციის დირექტორის რიჩარდ უაიკის სიტყვებით, „მთელ მსოფლიოში უყვართ ამერიკული ფილმები, სატელევიზიო შოუები, საესტრადო მუსიკა... ზოგიერთ რეგიონში მეტად პოპულარულია, ვთქვათ, ბიზნესის წარმომების ამერიკული სტილი. განსაკუთრებით - არაბეთის სამყაროში. თუმცა არაბეთის ქვეყნებში ამერიკის შეერთებული შტატებისადმი დამოკიდებულება ხშირად ძალიან ნეგატიურია, ჩვეულებრივად იქნათ მცხოვრებლებს მოსწონთ, თუ ჩვენ, ამერიკელები, როგორ ვაწარმოებთ ბიზნესს.“


მაგრამ არის მეორე მხარეც. ერთ-ერთი გავრცელებული აზრი ამერიკის შეერთებული შტატების საზღვრებს გარეთ - ესაა ამერიკის მოქმედება საერთაშორისო არენაზე, რაც შეესაბამება მხოლოდ ამერიკელების ინტერესებს, სხვა ქვეყნების საზიანოდ. აქედანაა ცხოვრების ტრადიციული ამერიკული სტილის მიუღებლობა.

„როდესაც საზღვარგარეთ ადამიანებს ვეკითხებით: კარგია თუ ცუდი, როდესაც ამერიკული იდეები და ტრადიციები შემოდის ჩვენს ქვეყანაში? - ძალიან ხშირად ისინი პასუხობენ, რომ ეს არ არის კარგი, - ამბობს რიჩარდ უაიკი. - ამ დროს ისინი აღიარებენ, რომ ჩვენ მოგვწონს ამერიკული პოპ-კულტურა, ყველა ეს ტელეშოუ, შოუ-ბიზნესის ვარსკვლავები. მაგრამ ამავე დროს ისინი შეშფოთებული არიან იმით, რომ ამერიკა სდევნის მათ საკუთარი ტრადიციებიდან, უარყოფითად უყურებს მათ წეს-ჩვეულებებს. გამოდის ერთგვარი „განივი-გამონი“ ამერიკასთან დაკავშირებით: იგი კიდევ გიზიდავს და კიდევ გეჯავრება ერთდროულად.“

იმის გათვალისწინებით, რომ მილიონობით ადამიანი სხვა ქვეყნებიდან კვლავ ნახულობს ამერიკის შეერთებულ შტატებში თავსებადარს, ათობით მილიონი კი უცხოეთში ყოველწლიურად ღებულობს დახმარებას ამერიკის შეერთებული შტატებიდან, გინდა ინამო, რომ ამერიკის პოზიტიური იმიჯი მაინც მტკიცე იყოს. საკითხავია ის, თუ როგორი მხარეების - პოზიტიურის თუ ნეგატიურის - დანახვა სურთ დამკვირვებლებს...

„ქართული ლუდის კომპანიის“ თანამშრომლები ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს ეხმარებიან

„ბაილენი“ სისხლი - გადაარჩინე სიცოცხლე“ პროექტის ფარგლებში სს „ქართული ლუდის კომპანიის“ თანამშრომლებმა ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისათვის სისხლი ჩააბარეს. აქციას იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოსთან არსებული სისხლის ბანკი მართავს. პროექტის მიზანია ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისათვის საჭირო სისხლისა და სისხლის კომპონენტების დეფიციტის აღმოფხვრა. საქველმოქმედო აქციაში სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო სტრუქტურები არიან ჩართულები.



სამწუხაროდ ძალიან ბევრ ადამიანს ესაჭიროება სისხლის გადასხმა, მათ შორის მცირეწლოვან ბავშვებს. დონორთა მიერ გაღებული სისხლი ბევრი პაციენტისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. „ლუდსახარში „ზედაზენი“ უერთდება ამ კეთილშობილურ საქმეს. გვჯერა, რომ სიკეთე არის გადამდები და ჩვენ ერთად გადავარჩინოთ მომავალს“, - განაცხადა სს „ქართული ლუდის კომპანიის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტი ლევან შერმადინმა.

მოსახლეობის ინტერესის ბამოსახატავად

საქართველო

აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის
გაუმჯობესების მეოთხე პროექტი

კრედიტის/სესხის No.: IDA5245-GE; IBRD 8263-GE
პროექტის No.: P130413

დავალების სახელწოდება: წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების და
ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მომზადება სამტრედია-ზუგდიდის შემოვ-
ლითი გზისთვის (ანაკლიის საზღვაო პორტთან მისასვლელი გზის ჩათვლით)

კონტრაქტის N: EWHIP-4/CS/QCBS-07

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტისთვის. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების, საჭირო მომსახურებისა და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ კონსულტანტებს ინტერესის გამოსახატად შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად: „წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების და ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მომზადება სამტრედია-ზუგდიდის შემოვლითი გზისთვის (ანაკლიის საზღვაო პორტთან მისასვლელი გზის ჩათვლით)“.

დავალება შედგება ორი თანმიმდევრული, თუმცა დამოუკიდებელი ეტაპებისგან (წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება და ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება). გადაწყვეტილება მეორე ეტაპის განხორციელების შესახებ იქნება მიღებული პირველი ეტაპის შედეგების მიხედვით.

დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ აღნიშნული მომსახურების გასაწევად საჭირო გამოცდილების დამადასტურებელი ინფორმაცია. ინტერესთა გამოხატვის წერილს თან უნდა დაერთოს შემდეგი: კონსულტანტის კორპორატიული პროფილი და შესაბამისი გამოცდილება დავალბასთან მიმართებაში, ძირითად თანამშრომელთა კვალიფიკაცია.

შერჩევის საკვალიფიკაციო კრიტერიუმები:

- ზოგადი გამოცდილება საგზაო ინფრასტრუქტურულ პროექტებში;
- მსგავსი გამოცდილება: ავტომაგისტრალის მშენებლობისთვის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მომზადება ევროპული სტანდარტების შესაბამისად უკანასკნელი 5 წლის განვლობაში (დაწყებული 2011 წლის იანვრიდან);

შეფასებისას მოხდება მხოლოდ წარმატებით დასრულებული დავალბების გათვალისწინება.

საავტომობილო გზების დეპარტამენტი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს წარმოდგენილი ინფორმაცია და მოახდინოს ინფორმაციის შემოწმების უფლება.

REQUEST FOR EXPRESSIONS OF INTEREST

Georgia

Fourth East-West Highway Improvement Project
Credit/Loan No. IDA5245-GE; IBRD 8263-GE

Project No. P130413

Assignment Title: Preparation of Pre-Feasibility and Feasibility Study for Samtredia-Zugdidi Bypass Road (including access road to Anaklia Deep Sea Port)

Contract/RFP No: EWHIP-4/CS/QCBS-07

Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the Fourth East-West Highway Improvement Project and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible consultancy companies (Hereinafter "consultants") to express their interest in providing the following services: "Preparation of Pre-Feasibility and Feasibility Study for Samtredia-Zugdidi Bypass Road (including access road to Anaklia Deep Sea Port)".

This assignment will consist of two consecutive but separate phases (Pre-Feasibility and Feasibility). A decision to undertake the second phase will be based on the findings of the first one.

Interested companies shall provide information demonstrating that they have the necessary experience to perform the aforesaid services. Expressions of Interest should cover, but not limited to: Experience relevant to the project activities, key staff resources and qualification; corporate profile.

The selection criteria are:

- General experience in road infrastructure projects;
- Similar experience; i.e. contracts of preparation of Feasibility Studies for highway construction in accordance with European Standards within the last 5 years (i.e. since January 2011);

Only successfully completed assignments will be taken into consideration during

ლი საბუთები და მოპოვებული ინფორმაცია გამოიყენოს შეფასების მიზნებისთვის.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]“ (2011 წლის იანვრის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში, “კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები”) – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალბასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალბასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა დონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლებიც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურებებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

კონსულტანტებს შეუძლიათ გაერთიანდნენ კვალიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მსოფლიო ბანკისთვის მისაღები გაერთიანების ფორმა ან ქვე-კონსულტანტი ან ერთობლივი საწარმო. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად უნდა იყოს მითითებული ასოციაციის სახე. ქვე-კონსულტანტების გამოცდილება არ იქნება გათვალისწინებული კომპანიის კორპორატიული გამოცდილების შეფასების დროს. დავალბების შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება წარმოდგენილ უნდა იქნას №1 ფორმის სახით, რომელიც განათავსებულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე www.georoad.ge შემდეგ ბმულზე: <http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819>

კონსულტანტების მიერ წარმოდგენილი ინტერესის გამოხატვა არ უნდა აღემატებოდეს 30 გვერდს. დანართის სახით შესაძლებელია კომპანიის ბროშურის წარმოდგენა, რაზეც გვერდების რაოდენობის შეზღუდვა არ ვრცელდება.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება “კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპებში” (2011 წლის იანვრის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში) მოცემული კვალიფიკაციისა და ღირებულების მიხედვით შერჩევის მეთოდის თანახმად.

დაინტერესებულ კონსულტანტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ იმეილზე: info@georoad.ge

ინტერესის გამოხატვა წერილობითი სახით წარმოდგენილ უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე (პირდაპირ, ფოსტის, ფაქსის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით) არაუგვიანეს 2016 წლის 28 ივლისი, 15:00 საათისა.

საკონტაქტო პირი: მაია ქალიაშვილი
თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე
მისამართი: ალ.კაზბეგის გამზირი №12, თბილისი, 0160, საქართველო
ელ. ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

evaluation stage.

The Roads Department reserves its right to verify submitted references and use obtained information for evaluation purposes.

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank's Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers, January 2011 – Revised July 2014 (“Consultant Guidelines”), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm's consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

Consultants may form an association (Please take into account that form of association acceptable for the World Bank is either sub-consultancy or Joint-Venture and submission must clearly indicate the nature of the association) to enhance their qualifications. The experience of sub-consultants will not be taken into account while evaluating the corporate experience of the company. Experience in the projects relevant to the assignment should be submitted in the Form N1 uploaded at Roads Department website on www.georoad.ge on the following link:

<http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819>

The consultants are strongly advised to limit their Expression of Interest to 30 pages. Company brochures may be included as an Annex, and will not be affected by the limit of 30 pages.

The Consultant will be selected under Quality and Cost-based Selection method set out in the World Bank's Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers, January 2011 - Revised July 2014 (“Consultant Guidelines”).

Interested consultants may obtain further information at the address: i

Expressions of Interest accompanied relevant information mentioned above must be submitted either as a hard copy or electronically to the address below not later than July 28, 2016, 15:00 hours.

Name: Maia Kaliashvili
Position: Deputy Chairman of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
Email: info@georoad.ge
Web-Site: www.georoad.ge

კალოსნობა



მინისტრი უპლიმრესებს უხვდა

დილოში ოლიმპიური პარკის ტერიტორიაზე მდებარე სპორტკომპლექსში საქართველოს ძალისხმევით...


ლაზა დიდა

ფეხბურთი

რა საჭიროა პირველი ტაიმი?

თბილისის „დინამო“ ახალ სეზონს რამდენიმე ახალწვეულით შეხვდა...

მეზობლებთან პრინციპული დუელის საბოლოო შედეგის გათვალისწინებით...



სწორედ ძირითად ბირთვთან დებიუტანტთა შერწყმით უნდა ჩამოყალიბდეს...

ნად გახურებული არც იყო, ხოლო პარტნიორთა უპირატესობა ქვილითაიამ...

გიორგი შოთაძე

მკლესობა

12 ქართველი იასპარეზებს

ბაშინს საქართველოს დედაქალაქში 20:16 საათზე საზეიმოდ გაიხსნა...

ლაძე (ბირთვის კვრა), გიორგი დავითაშვილი...

გივი გაბუა




www.msv.gov.ge

ოლიმპიური ჩემპიონი

სენსაციური ოქრო და დაკარგული შანსი

დავით სახალაიშვილი 1971 წელს დაიბადა ქუთაისში. ძიუდოში ომარ მერაბიშვილთან ვარჯიშობდა...

1989 წლის იანვარში ძიუდოისტთა საკავშირო ჩემპიონატის მინსკში უმასპინძლა...



დედ საბჭოთა კავშირის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ვლადიმერ კაპლინი შეეხმანა...

ძიუდოში ვარჯიში ცხრა წლისამ დაიწყო. ნიჭიერმა ყმაწვილმა მალევე მიიღო...



დში მოხვედრა უკვე სირცხვილად აღარ მიიჩნეოდა...

ლას 1987 წლიდან არც ერთი ტურნირი, არც ერთი ორთაბრძოლა არ წაუგია...

ჩოგბურთი

ზონაში დასარჩენად

დავისის თასის გათამაშების ევროაფრიკულ მესამე ზონაში შარშან ჩვენმა ბიჭებმა ნახვი გატყეს...

ნაკრებს ახალი კაპიტანი ჰყავს - ყოფილი ჩოგბურთელი დავით კვიციანი...

ვილი. ზიმბაბვეს ნაკრები კაპიტან მარტინ დუშუას თავკაცობით ასეთი შემადგენლობით გვევლინება...

ლემო ცინცაძე

ვაჟა დანელია

